გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10	მ. — კ.
11	,, . .	9	,, 50 ,,
10	,, . .	8	,, 75 ,,
9	,, . .	8	,, — ,,
8	,, . .	7	,, 25 ,,
7	,, . .	6	,, 50 ,,
6	,, . .	6	,, — ,,
5	,, . .	5	,, 50 ,,
4	,, . .	4	,, 75 ,,
3	,, . .	3	,, 50 ,,
2	,, . .	2	,, 75 ,,
1	,, . .	1	,, 50 ,,

ივერია

№ 100 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 100

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის წესი

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის „გაზეთი“ მოესპობა.

რედაქციისაგან.

კირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ჰღირს 7 მან. 25 კ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. 50 კ. და ქალაქ გარეთ 4 მან. 50 კ.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენი 1 მაისამდე, რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქაართველთა-შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘᲡᲘ

2.

ᲐᲚᲘ

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასად დებითაც შემდეგის აღრესით: **Тифлисъ. Общество распростр. грамотности.**

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

ᲒᲣᲚᲘᲗᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

სკოლისა, მრავალის სურათით. 16 გვ. ფასი 30 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲓᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲗᲐᲜᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამ შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ს. ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲐᲓᲐᲛᲝᲕᲘ

ნაფიცი ვექილი

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქალალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაკროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდინ.

გამოვიდა ისყიდება **წერა-კითხვის** საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ᲚᲐᲚᲐᲗᲘ

დრამა-დეკანოზ თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲐᲜᲘᲗᲘ

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდელმა უნდა იკისროს.

ამ შაესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

რ-ინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. ბ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი).

ᲘᲮᲐᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲚᲘ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიღებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **შეტაზეტ სურათი, მეექვსე მუქთად აკვარელით (ფერადებით) სუფთად დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავალად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და სახოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის ღროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ᲢᲐᲠᲐᲡᲘᲝ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ**

ახალი გზა ქალაქ ბორჩალოს ბაზარზე ბ. ბ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲓᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲗᲐᲜᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

ცალკე გამოცემა «ივერიისა». ფასი სამ შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ, ᲙᲜ. Ა. Ა. ᲐᲛᲘᲚᲐᲮᲛᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, Ქ. ᲒᲝᲠᲘᲡ ᲨᲘᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲠᲗᲕᲘᲡ 2 ᲛᲐᲘᲡᲡ, ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲓᲛᲘᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲗ:

1) ლექცია გენერალ-მაიორის პოტტოსი,

2) «მე მახსოვს მშვენიერი წუთი» ვოდ. 1 მოქ. კ. პ. ლარინისა,

3) „ნიშნობა კატორგის ნავთ-საყუდელზედ». ვოდ. 1 მოქ. ვ. რ. შრეროვისა.

4) საკონცერტო განყოფილება დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

კმაგე კრ. ა. ა. ამალახორის.

(4—უ—1)

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲕᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲓ, რომ **ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲓᲘᲚᲘ ᲔᲒᲖᲐᲛᲘᲜᲘᲡ** მისადგილად, როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე 6 ძირითად კლასებში, დანიშნულია 20 ამა მაისიდგან.

(3—უ—3).

ᲘᲯᲚᲔᲕᲐ ᲥᲘᲠᲘᲗ

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—8)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲘᲡᲒᲐᲐᲜ

—

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ **25** მაისს 1895 წელს ხელმწიფეო საბჭოს აზრისა ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მეოფთ თაყვანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლ-დ და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებული წესთა მე-7 მუხლის ძალით, ასეთ ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ნიკოლოზ შერმაზანისა-ძის და თინათინ ივანეს ასულის აბაზთა მიერ ხელმოწერილ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ოთხას ოთხმოცდა რვა მანეთისა და 75 კაპ. (488 მ. 75 კ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდისა. თუ ასე არ მოიქცა, ს.მუდამად დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ხელმოწერებულთ-დ აბაზთა.

3—6—3.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘ:

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲚ,—ეორდასნაკის ქუჩ., № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ᲒᲔᲫᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ედინბურგის ქუჩ., სახლი მადოვისა. № 5

ᲒᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ᲕᲐᲕᲐᲫᲔ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜ. ᲰᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ქუჩ. საკუთარი სახლი.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲖᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ედინბურგის ქუჩ., № 41.

ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოდუხანოვის, № 123.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ Დ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(ᲙᲣᲙᲘᲐ, ᲕᲔᲚᲘᲙᲝᲜᲬᲘᲒᲝᲜᲘᲡᲘᲡ ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ᲓᲘᲚᲘ Თ:

Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ. 11—12 საათ.

Ა. ᲢᲐ. ᲒᲣᲚᲘᲜᲘ—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულებით შეპყოობილთ. 9—10 ს.

Ა. ᲒᲐ. ᲒᲐᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

Ა. ᲓᲔ. ᲓᲐᲛᲒᲐᲨᲕᲘᲫᲔ. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ᲚᲔ. ᲛᲘ. ᲛᲝᲜᲘᲜᲘ. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

ᲓᲔ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგან, ნერვიანის და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **ᲛᲘ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ**—ქალისა და საბებია 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ᲒᲠ. ᲕᲘ. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲡᲙᲘ—ფოსტაფრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

Ა. Ა ᲑᲘᲘᲔᲠᲘ შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ᲕᲘ. ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘᲩ—შ ნაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗ:

Ა. ᲒᲐ. ᲒᲐᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ. შინაგ. ბავშ. ყველის აცრა და პიერთ-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დაოიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. ეკოოტები 3 მან. ბ მანეთამდე. სამკურნალო გადართოვებულია ოცი კრაკეთი.

46—8 ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 274

(ᲤᲐ.)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(ᲙᲣᲙᲘᲐ, ᲕᲔᲚᲘᲙᲝᲜᲬᲘᲒᲝᲜᲘᲡ ქუჩის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲗ:

ᲥᲐ. ᲕᲘ. ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ᲕᲘ. Ა. ᲐᲕᲔᲢᲘᲜᲘᲐᲜᲪᲘ. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიელ და ბირურგიულ ავადმყოფობისა.

ᲘᲐ. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲡᲝᲕᲘ. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ᲙᲐ. ᲒᲔᲚᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სტეკვრისა.

ᲒᲐ. ᲗᲐᲠᲐᲮᲝᲕᲘ. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

Ა. Ა. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ᲒᲐ. ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲗᲘᲜᲘ. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

ᲕᲐ. ᲕᲘ. ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲜᲘᲡ. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია

ᲒᲐ. ᲡᲝ ᲛᲘ. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიელის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **Ა. Ო. ᲨᲐᲠᲐᲮᲘᲜᲘᲜᲐ.** 7—7 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

ᲕᲘ Ა. ᲗᲐᲠᲐᲮᲝᲕᲘ. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ᲚᲔ. ᲤᲐ. ᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘᲪᲐᲕᲘ. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაც,». აუცრის ყვავილს გამარავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, დარიბთათვის უფასოდ; ფასი ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **Ქ. ᲒᲔᲛᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

Первая частная лѣчебница д-ра *Hasaradiana*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

ᲤᲚ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

—

„ᲞᲔᲢ. ᲕᲔᲓ.“-ის გულ-ხდილობა.—ბერლინელ სამხედრო მმამზხილველთა ახრი.—წერილი ამბები.—იაპონელების ზარბაზნები.

«ყველა საგანს თავისი ნამდვილი სახელი უნდა ეწოდოთო,—ამბობს «პეტ. ვედ.». ოფიციალურ დეპეშებს რომ განვიხილავთ და მათ შინაარსს გავარკვევთ ტიურენჩენის ომის შესახებ, ძალა-უნებურად მეტად მწვავე და რუსის თავმოყვარეობისათვის დიდად უსიამოვნო სიტყვები უნდა წარმოვთქვათ: იაპონელების გამარჯვება.

სჯობს გამოტეხით წარმოვსთქვათ ეს სიტყვები, ვიდრე გარემოება ბეჭოსით დავასურათოთ და ისეთ ფრაზებით გამოვხატოთ, რომლებიც ვერავის ვერ მოატყუებს, თითქო თავის გამართლება გვესაჭიროებოდეს ანუ ᲗᲔᲛᲨᲘᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲡ ცარცს ვესვამდეთ.

ის გარემოება, რომ ᲯᲐᲠᲘ გმირულად იბრძოდა, რომ მტერმა უმრავლესობით და საუკეთესო ზარბაზნებით გასკულიტა,—ეს მხოლოდ მიზეზია ჩვენის დამარცხებისა, რომელიც მაინცა და მაინც ნამდვილ ფაქტად რჩება.

ხოლო, თუ მართლის თქმა ჩვენთვის საჭიროებად გადაქცეულა და კეთილშობილური გრძნობა გვავალებს, ნათლად და მკაფიოდ აღენიშნოთ ჩვენი დამარცხება, ოგივე მოთხოვნილება გვაიძულებს წინდაწინვე მტკიცეულად დავიცვათ ჩვენი თავმოყვარეობა და დავიცვათ აგრედვე ყოველ საყვედურისა და ბრალდებისაგან უმწიკლელი სახელი ჩვენის ტანᲯულ გმირებისა. ჩვენ ჩვეულებად გადაგვქცეულა, მაშინვე „დამნაშავე“ ვეძებოთ. ომის ბედიდბალი ცვალებადია, და ისტორია ვერც ერთს ისეთს ომს ვერ დაგვისახელებს, რომელშიაც გამარჯვებულს მკირეოდენი დამარცხება მაინც არ ეგემოს. მაგრამ «დამნაშავე» აქ ცხადად სჩანს და ღმერთმა ინებოს, რომ იგი ჩვენს ᲯᲐᲠᲘ არაოდეს არ მოსცილებოდეს, ვიდრე რუსეთი არსებობს.

ეს არის—თავდაუტერელი სიმამაცე მეომართა სულისა, რომელმაც უფროსებსაცა და მორჩილთაც ნება არ მისცა უკუქცეულიყვნენ და წაიტყუესა მომხიბლავის მაცდურობით: მკირეს ძალით უმრავლეს მტერთან შებრძოლების სურვილმა.

«მშვიდობა და დიდება მოკლულთ, საუკუნო ხსენება!»

—

ბერლინიდგან სწერენ «რუს. ვედომ.»:

თუმცა ისეთი რუკანი არ მოგვეპოვება, რომელზედაც დაწერილებით აღნიშნული იყოს ბრძოლის ეული, ᲩᲔ საკუთარი სახელებიც არეულ-დარეულია, რის გამოც მდინარე იალუსთან მომხდარი ბრძოლა კარგად ვერ გამოგვირკვევია, მაგრამ საერთოდ საკმაოდ იხატება. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲧᲝᲚᲘᲐ 15,000 ქვეითი ᲯᲐᲠᲘ, 3,000 ᲯᲐᲮᲐᲠᲘ და 5 ბატარეია 40 ზარბაზნით. იაპონელებს ᲰᲧᲐᲕᲓᲐᲗ 50,000 რჩეული ᲯᲐᲠᲘ

220 ზარბაზნით, რომელთაც ეხმარებოდნენ სამხედრო ნავ-გემებიც. ამ რიგად ჩვენი ჯარი სამჯერ უმჯობესს ფეხოსანთ ებრძოდა და ექვს ჯერ მეტ არტილერიას. ამისათვის ომის შედეგი წინადვე ცხადი უნდა ყოფილიყო. ყველა აქაური სამხედრო მიმიმხილველნი ერთხმად იმ აზრისანი არიან, რომ რუსის სალდათები შამპაპურის თავ-განწირულობით იბრძოდნენ. უფროსებს კი ომში ერთი უნდა ერჩიათ: ან უბრძოველად უკუქცეულიყვნენ, ან მეტად დიდი მსხვერპლი შეეწირათ. სამხედრო მიმიმხილველნი ამბობენ, რომ პირველი ეშჯობინებოდაო. სიფრთხილე მოითხოვდა, ჯარი ცეცხლისაგან გამოეყვანთ, ვიდრე უმრავლესი მტერი მდინარეს არ გადმოსულიყო; ზოგნი კი ამ აზრის წინააღმდეგნი არიან და ამტკიცებენ, ვითომც დამარცხების მიზეზი სხვა და სხვა გარემოებას უნდა მიეწეროსო.

გაზეთ «ლოკალ ანეკეიგერის» სამხედრო მიმიმხილველი ამბობს, იაპონიის მეორე რაზმი დაგუშანთან გადასულა და, თუ ეს მართალია, რუსები იძულებულ იქმნებიან თავისი ჯარი და უმთავრესი ბანაკი უკან დასწიონ, ფინ-ხუან-ჩენი მიატოვონ და უმთავრესი ბრძოლა მუკდენთან გადატანონ. სადაც ისინი უფრო გამაგრებულნი არიან.

—

«დელი მალის» სიტყვით, რუსებს დიდძალი სურსათი დაუმზადებიათ ტელინში, რომელიც მუკდენის ჩრდილოეთად არის, 60 ვერსის სიშორეზე. მინჯურიის ჯარს აქედან გაეგზავნება სურსათი (რ. ვ.).

—

თავადი ვასილჩიკოვი იწერება ხარბინიდან, რომ ჯარის თავადარ-სარდალი თხოულობს დაარსდეს ხარბინში 2,000 საწოლიანი საავადმყოფო. ამ ჟამად იქ სავეჭრო გემებზე მართავენ საავადმყოფოებს. პირველი მზად იქმნება 1 მაისს, მეორე—15-სა და სამიც—ივნისის დამდეგს. ამ საავადმყოფოებში 2,109 საწოლი იქმნება (იქვე).

—

«რუსკი ინვალიდში» დაბეჭდილია:

«სამხედრო მინისტრის ბრძანებით, მთავარ შტაბთან დაარსდა საგანგებო განყოფილება, რომელმაც უნდა აგროვოს ცნობები ომში დაჭრილ და მოკლულ ოფიცრებისა და დაბალ ჯარის-კაცების შესახებ. ეს ცნობები «რუსის ინვალიდში» დაიბეჭდება. ცნობები დაბალ ჯარის-კაცთა შესახებ გუბერნატორებსაც გაეგზავნებათ, რომ დაჭერილ და დახოცილთა შობილებს გამოუცხადონ. მთავარ-შტაბი ამას აცხადებს და სთხოვს დაბალ ჯარის-კაცთა შობილებსა და ნათესავებს, ცნობები მთავარ-შტაბიდან კი არ ითხოვონ, არამედ ადგილობრივ გუბერნატორებს მიმართონ.

—

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

თ-დ ალ. სუმბათაშვილის კიბისა «ღალატი».

(გაგრძელება *).

თუ ზეინაბის პირველ ქცევას—სამშობლოს გარეგნობით ღალატს, ცოტაოდენი გასამართლებელი სბუთი მოეძებნება,—დაფარული აზრი სამშობლოს განთავისუფლებისა, მეორე მის საქციელს, ქართველთა მიმართ მტარვალობას, ამ სრულიად უადგილო მოქმედებას, თითქმის არაფერი გასამართლებელი სბუთი არა აქვს.

ზეინაბი ხალხს ავიწროებს, რათა, როგორც თვითონ ამბობს, სოლეიმანის ნდობა მოიპოვოს, ხალხი გამოაღვიძოს და სპარსელების მტარვალობა აგრძნობინოს. ოჰ, რა დიდი შეცდომაა ზეინაბის მხრივ!

ჩვენს ფიქრით, თ. სუმბათაშვილს სოლეიმანის ნდობის მოსაპოვებლად ზეინაბი სხვაფრივ უნდა ეშოქმედებინა. განა მსოფლიო ისტორიაში ცოტაა მაგალითი, რომ ხელმწიფენი და მათნი სარდალნი სხვაფრივ მოეჯადოვებინოთ ქალებს, თავიანთ ყურ-მოქრილ ყმებად გაეხადნოთ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დიდი გავლენა მოეპოვებინოთ?! და თუ თ. სუმბათაშვილის ზეინაბი რამ სხვა საშუალებით, და არა თავის ხალხისადმი მტარვალობით, მოიპოვებდა სოლეიმანზედ გავლენას და ქართველებს სპარსელებს მონობის უღელს შეუმსუბუქებდა, აი, ამ შემთხვევაში ზეინაბის პირველი საქციელი—სამშობლოს განდგომა—ერთს გასამართლებელ სბუთს მოიპოვებდა და ზეინაბიც მკითხველის თვალში შესაძრნეველად მაღლა აიწევდა. მაგრამ თ. სუმბათაშვილმა, გამოიყენა რა წინდაუხედავი დედა-კაცი, ხელში ერთი კიდევ სხვა საშუალება მისცა, რომელიც არა სიმპატიურ ადამიანად ჰქმნის.

ზეინაბის მტარვალობა ქართველებისადმი მეტია, ცეცხლზედ ნავთის დასმაა. განა ქართველები გამოღვიძებულები არ იყვნენ და საკმაოდ არა გრძნობდნენ სპარსელებისადმი ზიზღს? უეჭველად. სპარსელები მათნი მტერნი იყვნენ, თავისუფლების წამართმეული და, მაშ, მათი სიყვარული ქართველებს არც შეეძლოთ. მაგრამ რა უნდა ექნათ?! ქართველებს ძალა არ შესწევდათ და აი ეს იყო მიზეზი, რომ სოლეიმანს, «ამ რკინის კაცს» ვერ უმკლავდებოდნენ და არა მათი, ქართველების სულიერი დამაბეჭდილება!

არსებობს სოციოლოგიაში ერთნაირი მიმართულება, რომელიც გვეუბნება: ხალხს რაც უფრო მეტ გაჭირვება ადგება, უფრო ჩაუკვირდება თავის მდგომარეობას, ამ მდგომარეობიდან თავის დახწევას მოინდომებს და მტანჯველს გაუმკლავდებაო, რათა თავისი ბეჭავი მდგომარეობა შესცვალოსო. სრულ ჭეშმარიტებად უნდა ჩითვალოს ეს მოძღვრება. ჩვენ გვრწამს, რომ, სადაც ძალდატანებაა, იქ წინააღმდეგობაც იჩენს თავს! მაგრამ ზეინაბის ქართველთადმი მტარვალობა მაინც უადგილოდ და მაენებლად მიგვაჩნია და აი რადა: სპარსელები სულ სხვა პოლიტიკას გადგნენ დაპყრობილ ხალხის შესახებ. თი პოლიტიკა ცეცხლი და მახვილი იყო! დაპყრობილმა ხალხმა კარგად იცოდა, რა ხალხთან ჰქონდა საქმე და არც შეეძლო მიეძინა, მიყრუებულიყო და გამოღვიძება მოსდომოდა რეპრესიულ საშუალებით. მიძინება მაშინ, როდესაც წმიდათა წმიდას გიბღალავენ, ცოლს, შვილს, დედას, დას გტაცებენ და ჰარამხანაში მიჰყავთ, ყოველად შეუძლებელია! ზეინაბისებური პოლიტიკა, აწ სოციოლოგიის მიერ აღვიარებული თეორია, მაშინ არის საჭირო, როდესაც ზოგიერთი სახელმწიფო დაპყრობილ ხალხის მიმართ ვერაფერ პოლიტიკას ხმარობს; ხალხს მხსნელ-პატრონათ ეჩვენება, ნელნელა ნაციონალურ წმიდა წმიდათას ხელიდან აცლის, თავისებურებას კულტურის სახელით ასაღებს და ასე, ამ გვარად, დღეს-ხვალობით ხალხის გადასხვაფერებას, გადაბალისებას ლამობს!

ზეინაბს არ უნდა დავიწყებოდა, რომ გარდამტეტები ფიზიკური ტანჯვა ხალხს წელში ჰხრის, სულიერად აძაბენებს, ასუსტებს. ამისათვის ზეინაბის პოლიტიკა, ვითომ და ქართველების გამოსაღვიძებლად, დასაგმობია. აბა, რა ჭკუაზედ მყოფის საქმეა, თუ გინდ ის დიადის აზრითაც ხელმძღვანელობდეს, ხალხის საკეთილდღეოდ ხალხის დაზიანებაზე! ხოლ მაგიერ რომ ზეინაბი ხალხს მოსარჩლედ გახდომოდა, სპარსელებს უსისინებს! მის მაგიერ რომ ყოველი ქართველის სიცოცხლისათვის ეზრუნა, ათასობით ისტურრებს საიქიოს და ფიზიკურად დასუსტებულს ხალხს, უფრო ასუსტებს. ყოველ ვაჟკაცის სისხლი, ზეინაბის პოლიტიკის მეოხებით დათხეული, მეტია და ზეინაბიც პასუხის მგებელია მის მეოხებით უდროო-დროთ გაფლეტილ ქართველების წინაშე.

თ. სუმბათაშვილი ამნაირის დედოფლის დახატვით საქართველოს დედოფლებს ჩირქსა სცხებს, ცილსა სწამებს და ქართველ ერს ამნაირი გაცნობით უცხოების თვალში ამდაბლებს და, გარდა ზიანისა, მეტს არაფერს ჰმატებს. ყველა ჩვენგანს შეუძლიან სახელი გაიგოს, რაიმე გარდამეტებულ ქცევით ხალხი აალაპარაკოს. განა ცოტას ლაპარაკობენ ხოლმე რომელსამე ავაზაკზე? მაგრამ ამ გვარ სახელს რა ფასი აქვს გონიერ ხალხის თვალში? არაფერი. ზიზღის მეტს არაფერს იწვევს. ცუდის მხრივ გაცნობა საქართველოს დიდებულებისა და ზარჩინებულთა დამკირვებაა განათლებულ ხალხის თვალში ერისა, მისის აწმყოსი და წარსულისა; ამისათვის არაფერი სასურველია. «ღალატი“ ამ მხრივ დიდს სამსახურს არ უწევს ქართველებს.

მოუფიქრებლად დაიწყო ზეინაბმა მოქმედება ხალხის გასანთავისუფლებლად და აგრეთვე გაათავა. განთავისუფლდა თუ არა საქართველო სპარსელების მონობიდგან, ზეინაბმა თავის ვალდებულობა გათავებულად დასახა და თავი დააკლა თავის შვილის გვამს. უდროოდ შეწირული ზვარაკი არ შეიწირების. ესეც უნდა ითქვას ზეინაბზედ. იგი და მასთან თ. სუმბათაშვილი აჩქარდნენ, უდროოთ დაანთხიეს ერთის საშობლოს განმათავისუფლებელის სისხლი.

ზეინაბის თავის მოკვლაში მისი წინ დაუხედაობა სჩანს და «ღალატის» ავტორის მიერ საქართველოს ისტორიის უცოდინარობა. სუმბათაშვილს რომ საქართველოს ისტორიისთვის ყურადღება მიეცია, ზეინაბისთვის თავი არ უნდა მოეკლეკინებინა. ხალხი უპატრონოდ, უმმეკვიდროდ რჩებოდა. საქართველოს ისტორიას არა ერთი მაგალითი ახსოვს, რომ განთავისუფლების შემდეგ, საქართველოს დიდებულებს პირველობა მოეწონოთ და ამის გამო საქართველოში შინაური განხეთქილება ჩამოვარდნილიყოს, ეს კარგად უნდა სცოდნოდა დედოფალს ზეინაბს და თავის სიცოცხლე აგრე აბუჩად არ უნდა აეგდო და გული არ უნდა გაეგმირა. საქმე მარტო განთავისუფლება არაა, არამედ ახლად განთავისუფლებულ ქვეყანაში წეს-რიგის-დამყარება, თავდარიგი. ავტორს პიესის გათავება მოუნდა და ზეინაბიც იმიტომ გამოასალმა წუთის სოფელს. ეს აჩქარებაა. ყოველთვის მოასწრებდა ზეინაბი თავის მოკვლას, თუ წარსულს ცოდვებს სხვფრივ ვერ შეინანებდა. ამ აჩქარებით კი ავტორმა ზეინაბი კიდევ დაამდაბლა მკითხველის თვალში. მაგრამ კმარა დამდაბლებაზედ ლაპარაკი. ალბად ავტორს ასე სურდა დაესახა საქართველოს დედოფალი!

ამით ვათავებ ზეინაბზედ ლაპარაკს და პიესის მეორე მომქმედზედ - ოთარ-ბეგზედ გადავალ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ № 99.

სეულიდგან უცხოელ გაზეთებს ატყობინებენ, ვითომც ორშაბათსა და სამშაბათს გენზანში საშინელი ზარბაზნის სროლა მოისმოდა ზღვის მხარეს. ჭეშკრობენ ვლადივოსტოკისა და ადმირალ ურიუს ესკადრები თუ შეხვდნენ ერთმანერთს და ბრძოლა ასტეხესო (რ. ვ.)

—

პარიჟის გაზეთებიც იუწყებიან, ვითომც ორშაბათს დილით გენზანთან ზღვაზედ რუსისა და იაპონიის კრეისერები შეხვდნენ ერთმანერთს და ბრძოლა ასტეხეს; დიდის ზარბაზნების სროლა ისმოდაო (ბ. ვ.)

—

სეულიდგან „ცენტ. ნიუსს“ ატყობინებენ, რუსები გიჩქარებთ აკეთებენ რკინის გზას ლიაონიდგან ფინ-ხუნ-ჩენამდეო მუშაობაში მონაწილეობას იღებს 1,000 სალდათიც. ამბობენ, ვითომც 30 მილის

ბანდერზე უკვე გაუკეთებიათ რკინის გზის ლიანდაგი და 90 მილი-და დარჩა გასაკეთებელია (რ. ვ.).

—

«სტანდარდი» იუწყება, რუსეთის სამხედრო მოხელეებმა სთხოვეს ჩინეთის მთავრობას, ნება მოგვეცით ჩვენი ჯარი დავაყენოთ შან-ჰაი-გუანთანაო. ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ჯერ პასუხი არ მისცა, ხოლო ჰფიქრობენ, რომ უარს არ ეტყვისო (იქვე).

იაპონელების ზარაზნები.

ბოლოს დროს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ იაპონელებს მდინარე იალუსთან 12 ბატარეია მიუყენენიათ, რომელთაც 6 დიუმიანი სავაკეო ზარბაზნები აქვთო.

მართალია, იაპონელებს აქვთ 6 დიუმიანი ზარბაზნები, ხოლო საეჭვოა, რომ იმისთანა ცუდის გზებით, როგორიც კორეაში არის მდინარე იალუს მარცხნივ, ესეთი დიდი ზარბაზნები წაეღოთ; ამისთანა ზარბაზანი თავის ეტლით 900 ფუთამდე იწონს, და მათი ზიდვა კარგს გზაზედაც კი გასაჭირია.

უფრო საფიქრებელია, რომ იაპონელებმა 5 დიუმიანი ზარბაზნები წამოიღეს, რომლებიც ძლიერებით 6 დიუმიანებს არ ჩამოუვარდება და სამჯერ თუ ოთხჯერ მსუბუქებია.

სიმძიმე ზარბაზნისა	. .	109 ფუთი
„ ეტლისა	. . .	260 „
„ უყმბარისა	. .	$66^3/_4$ გრივ.
წუთში ისვრის.	. . .	12 ჯერ.
მანძილი სროლისა	. .	7 ვერსი.

ამ ზარბაზანს ფოლადის ეტლი აქვს. სროლის დროს თვლებს უკანიდგან ბალიშებს უწყობენ, რომ ძალიან არ დაიწოოს. ამისათვის მაგარი პრუეინებიც აქვს მიცემული. მართლაც, ზარბაზანი გასროლის შემდეგ მხოლოდ ნახევარ არშინზე იწევს უკან, ხოლო ბალიშები და პრუეინები ისევ თავის ადგილს აყენებენ. ზარბაზნების აქეთ იქით მიტრიალ-მიტრიალეა შეიძლება, ეტლი რომ არ დაიძრას. ზარბაზანს დურბინდი აქვს დამაგრებული ისეთის მექანიზმით, რომ ნიშანში სწორედ ამოიღებს.

იაპონელები წამოიღებდნენ კიდევ ცოტა ამაზედ მომცრო ზარბაზნებს—$4^1/_2$ დიუმიანს, რომელიც ორთვლიან ეტლებით დაიქცევ და სწორედ იმავე სისტემისაა. ეს ზარბაზანი $26^1/_2$ ფუთის სიმძიმეა და ეტლიც $40^1/_2$ ფუთს არ აღემატება, ხოლო მისი უყმბარაც $66^3/_4$ ფუთს იწონს. წუთში 10-ჯერ ისვრის.

ამას მოსდევს უფრო პატარა ზარბაზანი—3 დიუმიანი, რომლის სიმძიმე $18^1/_2$ ფუთია და ამიტომ უფრო ადვილი ზიზღია ტყვია $13^3/_4$ გრივნქა და შიგ $1^1/_2$ გრივნქა უკვამლო წამალია. ერთ წუთში 20—25 ჯერ ისვრის.

იაპონელებს აქვთ აგრეთვე მთა-ადგილს სატარებელი ჰაწაწა ზარბაზნები, სიგრძით აღლეზე ცოტა ნაკლები. ეს ზარბაზნები იშლება ხუთს ნაწილად, ხუთის ჯარის სალალნედ. აწყობაც ისე ადვილია, რომ დახელოვნებული კაცი ერთ წუთში გამართავს. ერთს წამში ისვრის 7 ჯერ, უყმბარა $13^1/_2$ გრივნქიანია.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე პატარა ზარბაზნები, რომლებიც თავისთავად ეტენენიან და ერთს წუთში 300—350 ჯერ ისვრიან. ზარბაზანი სპილენძის კასრში ძევს, რომელიც ცივის წყლით უნდა იყოს ავსებული, რომ გამუდმებულად მსროლელი ზარბაზანი გაანელოს. ყუმბარა გრივნქაზე ცოტა მეტს იწონს. ამ ზარბაზანს «პუმ-პუმი» ეწოდება. (ბ. ვ.).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

—

** ტფილისში შემდგარ ქალთა კომიტეტს, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ფუფისა და ნივთების შეგროვებით შორეულ აღმოსავლეთში რუს მეომართა, განუზრახავს, მეორედ გაამართოს სახაზინო თეატრში კონცერტი რუს მეომართა სასარგებლოდ.

** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ბოტანიკიერ ბაღის კონსერვატორს ბ-ნს მიხაილოვსკის ყარსის ოლქში ჰგზავნის სბოტანიკო გამოკვლევათათვის.

** შინა-მრეწველობის კოლექციები, რომელიც ტფილისიდან გაიგზავნა სანლუის მსოფლიოს გამოფენაზედ, ჯერაც არ მოსულა ტფილისში. მოელიან მომავალ თვის პირველ რიცხვებში.

** შინაგან საქმეთა სამინისტრო საერობო განყოფილების გამგის თანაშემწე დეისტ. სტ. სოვ. კ. ვ. სტეფანოვიჩი, სამსახურის საქმეთა გამო, პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა

** პირველიდან რვა მაისამდე ყოველ დღე მოგვიგზავნენ ფუფს მონასტრებსა და ეკკლესიებში უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ.

** დღეს, 28 აპრილს, ფოსტა ტელეგრაფის ოფისს უფროსის თანაშემწედ ახლად დანიშნული ივანოვი მიეგზავნება საქართველოს საბუღრო გზის სადგურებისა და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ.

** ტფილისის სოსტატო ინსტიტუტში სწავლა ამ თვის დამდეგს თავდება. ეგზამენები პირველ მაისს იწყება და სამ თიბათვეს თავდება.

** 25 აპრილს გორის თავად-აზნაურთა სინდიკატის საზოგადო წლიურმა კრებამ დადგინა, 300 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართა. ფული სინდიკატის წმინდა მოგებიდან გადადიდა.

** წელს აპირებენ სახელოსნო სასწავლებლის შენობის შეკეთებას, ამიტომ აზრად აქვთ მოსწავლენი ადგილ დაითხოვონ.

** ხვალ, 29 აპრილისათვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის მდგომი მოქალაქეთა რწმუნებულებისა. კრებამ უნდა განიხილოს საკარაუდო ხარჯთ აღრიცხვა მომდინარე წლისათვის. ვარაუდოთ შემოსავალი წელს 14 ათასი მანეთი იქმნება.

** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტი შეეკითხა იმპერიის ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა, გვაცნობეთ 10 მაისამდე, 1) როდის დაიწყო გაზაფხულს თოვლმა გადნობა, 2) როდის დადნა და ბალახი ამოვიდა, 3) როგორი ამინდი აყო გაზაფხულის პირველ ნახევარში, 4) რა მდგომარეობაშია ნათესები და სხვა.

** საპირველ მეტის სიფრთხილით ატარონ ცხენის რკინის გზის ვაგონები. ამ ცოტა ხანში რამდენიმე მაგალითი იყო, რომ ვაგონმა ქვეშ მოიტანა კაცები და დაეშავა. ზოგი დაშავებულთაგანი სასწრაფოდ გარდაიცვალა.

** ტფილისიდგან ყარსის საპრაფოლეში ტუსადები ჯერ იგზავნებოდნენ [illegible] მდე, რადგან ტუსადთა შორის გავრცელებული იყო გადამდები ავადმყოფობანი. ამ ჟამად ავადმყოფობა მოუსპიათ.

** დამბლად ჩავარდნილ ტეხნიკის ალექსანდრე სუჯიეიძე სასარგებლოდ რედაქციამ ნიკოლოზოზ ჯარახანოვისგან მიიღო ერთი მანეთი.

—

ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲐᲑᲗᲣ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲠᲝᲒᲑᲘᲗ?

(წერილი რედაქ. მამართ).

—

ბევრი ჩვენგანი ისე ბრმად უუურებს ჩვენს ბედ-იღბალს, ისე ბედნიერი ჰგონია თავისი თავი, რომ ცხოვრება ამ ქვეყნად სამოთხეში ყოფნად მიაჩნია ჭ გარეულ მყოფ თუ ფი შინ შემოსული მტერი კი ანგელოსთ გუნდათ; ამ სფერაში აღზდილნი განცხრომის შვილნი დღეკანდლამდე რაღაც სიძულვილით გაყდენილ ჰანგს გვიმღერიან და გვანუგეშებენ; ის კი არ იკიან, თუ ნამდვილი ფაქტები თურმე სულ საწყინაოდ მდგარ რასმე ითხოკს. ბევრი ჩვენგანი, თუ ყველა არა (ყველა ღმერთმა დაიფაროს!), ამ ორა-სასიამოვნო ჰანგს შეჰრიგებია იმ დრამდე, სანამ შემთხვევა არ ჰქონია, რომ ჩვენდამი მომართულ სიძულვილს წინ შეჰხვრეგოდა; ჩვენი დამაშოშმინებელი ნანა და დამაიმედებელი ქადაგება ჩვენს განცხრომის შვილთ უნდა ეპატიოთ; განა იმათ ძალუძთ შეიტყონ ნამდვილი სატკივარი ჩვენის ხალხისა და მისის სულის მოთხოვნილება? მათი ყოფა ცხოვრება დაუსრულებელს ამბავს მომაგონებს იმ ხელმწიფის ვაჟისას, რომელმაც დაინახა ხელ-გაწვდილი მშიერი გლეხა, შეეშინდა ამ სურათისა და მიმართა თავის დედას: დედა, ნუთუ ამ კაცს რძე და ბუალი არა აქვს საჭმელად, რომ დათხოვლობს და აწუხებს ხალხსაო. დიაღ! რა იცის ამ ნებიერობის შვილმა ხალხისა, როცა არა გაუკეთებია რა, არაფერზედ შეწუხებულა და მის სურვილს არაფერი გადაჭოლობებია წინ, თუ უნდა, დღეს რძესა ჭ ბუალ ბურსა სჭამს . ხვალ—მოხრაკულს, დღეს ქალამანს ჩაიცვამს, ხვალ კოხტა ჩექმას, დღეს ეტლით იგლის, ხვალ ფეხით და სხვ. რას გაუმწვავებია? სულ არაფერს!

მეც ერთხნობამდის ვემონებოდი ამათ ჰანგთა ეღერას, ვუსმენდი და მომეწყინა, თითქმის შემჯავრდა კიდეც. ამ სიძულვილის გაღვიძებისათვის ბევრი მიზეზი მქონდა, მაგრამ ამ მრავალთაგან ერთს მოგასხენებთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ. განვიზრახე რა გამოცემა სასიმღერო რომანებისა და არიებისა ქართულის ტექსტით, მივმართე ცნობილ სამუსიკო ფირმას პეტერბურგში და შევეკითხე: რას აიღებთ, რომ ეს და ეს თქვენ მიერ უკვე გამოცემული დაგვთარგმნო ქართულად და გამოვცე, ან რა კანონებია ამის შეხებ მეთქი. ბ-ნი ბესსელი ძალიან გაკვირებული ჩემს ამისთანა თავაზიან წერილზედ და მოუწერია შემდეგი წერილი, რომელიც აქვე მომყავს: «ეინც ჩემის ფირმის გამოცემას მეორეთ გამოსცემს, კანონით 3-დან 8 თვემდე ციხეში ჰაჯდომით დაისჯებაო; მეორეც ეგ, ქართველი საზოგადოება არც ისე განვითარებულია მუსიკაში, რომ ჰღირდეს მისთვის ცალკე ტექსტით გამოიცეს რაღე, და თუ სურს იმ ოცს ან ას კაცს ამნაირ ტექსტის გამოცემა, მე თითონ შემიძლიან ეგ საქმე, მხოლოდ ხარჯი გამოცემისა იმათი უნდა იყოსო». აი, ამ ნაირად გვაქვს სახელი გატეხილი, არამთუ ბესსელის თვალში, არამედ მთლად რუსეთის საზოგადოებაში; მე იმ ოცსა თუ ას რუსს სულაც არ

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

თ-დ ალ. სუმბათაშვილის კიბისა «ღალატი».

(გაგრძელება *).

თუ ზეინაბის პირველ ქცევას—სამშობლოს გარეგნობით ღალატს, ცოტაოდენი გასამართლებელი სბუთი მოეძებნება,—დაფარული აზრი სამშობლოს განთავისუფლებისა, მეორე მის საქციელს, ქართველთა მიმართ მტარვალობას, ამ სრულიად უადგილო მოქმედებას, თითქმის არაფერი გასამართლებელი სბუთი არა აქვს.

ზეინაბი ხალხს ავიწროებს, რათა, როგორც თვითონ ამბობს, სოლეიმანის ნდობა მოიპოვოს, ხალხი გამოაღვიძოს და სპარსელების მტარვალობა აგრძნობინოს. ოჰ, რა დიდი შეცდომაა ზეინაბის მხრივ!

ჩვენს ფიქრით, თ. სუმბათაშვილს სოლეიმანის ნდობის მოსაპოვებლად ზეინაბი სხვაფრივ უნდა ეშოქმედებინა. განა მსოფლიო ისტორიაში ცოტაა მაგალითი, რომ ხელმწიფენი და მათნი სარდალნი სხვაფრივ მოეჯადოვებინოთ ქალებს, თავიანთ ყურ-მოქრილ ყმებად გაეხადნოთ და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში დიდი გავლენა მოეპოვებინოთ?! და თუ თ. სუმბათაშვილის ზეინაბი რამ სხვა საშუალებით, და არა თავის ხალხისადმი მტარვალობით, მოიპოვებდა სოლეიმანზედ გავლენას და ქართველებს სპარსელების მონობის უღელს შეუმსუბუქებდა, აი, ამ შემთხვევაში ზეინაბის პირველი საქ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ვიგდებ სათვალავში, რომელთაც «მე» და «შენნის» წყალობით შეუძლიანთ რაიმე წარმოდგენა იქონიონ ქართველ საზოგადოებაზედ; იქნებ ბ-ნ ბეგსელს არა-რუსის შთაშმავლობამ მისცა ნება ეკიეთნა ქართველებისათვის მუსიკაში განვითარებულობა, ეს მასხარად აგდებმა მათგან მისატევებელია, თუ არ დავიიწყებთ, რომ ბ-ნი ბეგსელი, ვინ იცის, საიდგან გადმოხვეწილა, რუსეთს შეჰფარებია და აქ სიმდიდრეც და სახელიც მოუხვეჭნია; მაგრამ ამავე დროს ისიც არ უნდა დავიიწყოთ, რომ ბ-ნი ბეგსელი წარმომადგენელია რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისა და ძალინ გაკეთებული და გო�ებულიაც ვარ, როცა რუსეთის სამუსიკო ხელოვნების წარმომადგენელი ესეთ წინ დაუხედავს და ყოველად უპატიო პასუხს იძლევა. ი რათა: განა იმ სამუსიკო საზოგადოებას, რომლის წევრთაც იგი ირიცხება, რა დაუხარჯავს ქართველების მუსიკის განვითარებისთვის? ან ბ-ნ ბეგსელს რა გაეჩარება დასდგომია ჩვენს მუსიკალურის განვითარებისთვის, რომ ესე ბევრსა თხოულობს? ქართველ საზოგადოებას თუ შეუსწავლია და გაუგონია რამე, ისევ თავის ჯიბის შემწეობით, თორემ ბ-ნ ბეგსელს, როგორათაც რუსეთის ხელოვნების წარმომადგენელს, ერთს წამსაც არ გახსენებია ქართველის განვითარება მუსიკის მხრივ.

შორს სიარული რად გვინდა, როცა მაგალითი ასე ახლო გვაქვს, რომ ხელითაც მისწვდება კაცი. ტფილისში არსებობს მუსიკალური განყოფილება მთლად რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისა, რომლის წევრად ბ-ნ ბეგსელიც ირიცხება; ვიკითხოთ, მიუძღვის რამ ღვაწლი ამ განყოფილებას ქართველების წინაშე? გადაკრით შეგვიძლიან ვსთქვათ — არაფერი! ეს უყურადღებობა უფრო საწყენია, როცა გიახსენებთ, რომ სასწავლებელი ამ განყოფილებისა, სადაც ეხლა 300—400 მოწაფე ქალი და კაცი სწავლობს მუსიკას, ქართველის დაარსებულია. ეს კიდევ არაფერი, ვსთქვათ, ესეც ქართველებს დაუდევრობას და დაქვეითებას უნდა მივაწეროთ, რომ არაერ სწავლობს მუსიკას, და თუ სწავლობენ, ისიც მცირე რიცხვი; ნუ თუ რუსეთის სამუსიკო საზოგადოების მმართველებს უნდა დაჭვიწყებოდათ იმ კაცის ღვაწლი, რომელმაც იმოდენა ამაგი დასდო ტფილისში განყოფილებისა და სასწავლებელის დაარსებასა? ნუ თუ ღირსი არ იყო, რომ ამ კაცის მოსახსენებლად დაეარსებინა ისევ იმავე საზოგადოებას ან ტფილისში, ან რუსეთის ერთ-ერთ სამუსიკო სასწავლებელში, ერთი სტიპენდია, რომ მით აღზრდილიკო ერთი ქართველი მაინც?

შარშან 25 წლიწადი შესრულდა ტფილისში მუსიკალურ განყოფილებისა და მასთან სკოლის დაარსებისა. ამ შემოდგომაზედ ეს იუბილეი დიდის ამბით უნდათ იდღესასწაულონ და ამ 25 წლის განმავლობაში ერთი კრინტიც-კი არავის დაუძრავს ამ სკოლის დამაარსებელის სახელის მოსახსენებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მისი სურათი ერთს დროს სასწავლებელში იყო ჩამოკიდებული და ამ ბოლოს დროს ისიც ალარ სადა სჩანს; ვგონებ, უმადურობა ამას იქით ვეღარ წავა. მადლიერობა-კი რომ ყოფილიყო, განსვენებულ ხარლამპი სავანელის სახელი ოქროს ასოებით უნდა ყოფილიყო ამოკვეთილი რუსეთის მუსიკის ისტორიაში. მაშ, რადას გვიკიჟინებს ბ-ნი ბეგსელი?

მაგრამ ეს კიდევ არაფერი, შედარებით იმასთან, რა მურიც უსვია ქართველს შებღალზედ და რა შერცხვენილ დაიარება რუსეთის საზოგადოებაში. ეს მური, ეს შერცხვენა, ამბობენ, ნიშანია ჩვენის გათახსირებისა, არამც თუ ხელოვნებაში, არამედ კაცურ-კაცობაშიც-კი.

ნეტავ რაღა? „ვის რა ვირი მოვპარეთ“? ვის რა დავუშავეთ, ვის რა გველი შევუწვეთ, რომ ჩვენი გაქცევა მოუნდომინიათ, ჩვენის ხსენების ამოფხვრა ჩაუდვიათ გულში?!

ი. კარკარეშელი.

საეკლესიო გალობა.

(დასასრული *)

მე-19 საუკუნიდან დღემდის ჩვენამდე ზეპირად მოსული საეკლესიო გალობა გადილეს ნოტებზე. გურულ-იმერული კილო 1895 წ. ჩვენმა მემუსიკემ ბ-ნ ფ. ქორიძემ დაჰბეჭდა ჰალაგანიძის, წერეთლის, ხუნდაძის და სხვითა თანამშრომლობით ნოტებზე გადაღებული. რადგან ეს გალობა ძნელი შესასწავლი და რთული გამოდგა, ამისათვის 1902 წ. იმერეთის სამღვდელოების და ეკკლესიების საფასით გამოვიდა მღ. მ. რ. ხუნდაძის მიერ ნოტებზე გადაღებული სადა ქართული გალობა გურულ-იმერულ კილოზე. იმერეთის ზოგიერთს სოფლებში, საეკკლესიო გალობის მოყვარულები არიან და ხანდისხან კიდეც გალობენ ეკკლესიებში, სამ-სამი კაცი, თუმცა, ვიტყვით თამამად, ჰარმონია და მუსიკა წაკლები გამოდის იმათი გალობისა და, რაც უფრო შესანიშნავია, სიტყვებია გადამახინჯებული, მაგ. «მოვედი (თუთა) იაყვიანნი ვსცეთ». შუაში სიტყვა „თუთა“ გამოვიდა.

ზემო-ნათქვამიდან ჩვენ ის გვინდა დავასკვნათ, რომ ყოველს დროს ყოველს ეკკლესიაში ყოფილა კალობა, ისიც საზოგადო. მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ტიბიკონი უჩვენს: 1) საზოგადო კალობს; 2) ამასვე თხოულობს დოდმატიკონი ეკკლესიისა, რომელიკაა ერთ ხარგ და ერთ სულ (ეფეს. 5, 4); ამ საზოგადო გალობას ისეთი ღრმა გავლენა აქვს მლოცველზე, რო ამ დროს მისი გული ზეცისაკენ მიიღტვის. ხალხიც, რა თქმა უნდა, რაც ხშირად წესიერი გალობა იქმნება ეკკლესიაში, მით უმეტეს ხალისს და გულ-მხურვალებას გამოიჩენს იქ სიარულისას. ქართველ სამღვდელოებისა და შეგნებულ კაცთა საზრუნავია ამ ქამად: როგორ მოიმართოს ეკკლესიებში გალობის საქმე, რომ ყველგან რიგიანად გაწყობილი მგალობელთა გუნდი არსებობდეს? აი ამაზე მსურს მოველაპარაკო მკითხველებს; ჩვენი თავი უეცოდველად არ მიგვიჩნია, მსჯელობაში იქნება გზის ავსცდეთ, მაგრამ, რაც ვიცით, იმის მაინც ვიტყვით.

წარსულს თებერვალს ჩვენ დავესწარით ერთ-ერთს სამოწყსრიგო სამღვდელოების კრებას, სადაც აღიძრა მსჯელობა იმ საგანზე, თუ რა საშუალებით და როგორ დავამყაროთ მკვიდრ ნიადაგზე ეკკლესიებში გალობა. ერთმა იქ დამსწრე სულიერმა მამამ, არც აიღო, არც დაიღო, კრებას წარუდგინა ერთი სოფელი მგალობელთა-განი, ნოტის არ მცოდნე, და ურჩია მღვდლებს საეკკლესიო გალობის ბეღ-იღბალი ღირსეულის ჯილდოთი იმ არე-მარეზე იმ კაცისათვის ჩაებარებიათ. ითქვა, გათავდა. ეკკლესიებზე ფული გაიწერა და („ვიდი, თუ რვა თუმნით) გალობის საქმეს, ამ სულიერის მამის რჩევით და იმ მგალობლის იმედით, მსჯელობა მისცეს. დღესაც ჩვენ იმ მოძღვარის გადაწყვეტილებაზე უარი ვთქვით, მოღალატობა დაგვშამა, გაუნათლებლობა გვიკიჟინა; თვით კი საზოგადო საქმიდან ისკუსა და პირადი ანგარიში ამოიღო მიზნაში.

ჩვენ კი მაშინ ეს აზრი ვსთქვით (ზოგს ახლა მოუმატებთ): თუ გვინდა გალობა რიგიანი იყოს ეკკლესიებში, უნდა ვეცადოთ მგალობელთა გუნდების შედგენა. გალობა უნდა იქმნეს ნოტებზე შესწავლილი. სახელმძღვანელოები გვაქვს, მაშასადამე, ვეცადოთ უფრო ხელსაყრელი საქმე გამოვნახოთ. ეს კი შეიძლება მაშინ, თუ სოფლის მასწავლებლებს დაეკალბათ, როგორც მოწაფეებს, ისე სოფლელებს ასწავლონ. თუ მედავითნენ ნასწავლია და ნოტები იცის, ისწავლის ჯერ თითონ, მერე ნოტისა და გალობის არ მცოდნე მედავითნეებს შეასწავლის. ასეც შეიძლება: ერთს არჩეულს ადგილას მიიწვიონ გალობის მასწავლებლები და მათგან ისწავლონ მედავითნეებმა და სოფლის მკვიდრთაც. გარდა ამისა, ძრიელ კარგი იქნებოდა, ჩვენის გალობის მცოდნე და გამოცდილმა კაცებმა პრესის მეოხებით გამო აცხადონ, რა ნაირად შეიძლება ჩვენში საეკკლესიო გალობის რიგიანად წარმოება და რა საშუალებით მივაწიოთ აზრის განხორციელებას. თორემ მარტო ფულის გაწერით და სოფლის ვიგინდარეების გალობის საქმეში ჩარევით შორს ვერ წავალთ..

კოტე გრიქელი.

რუსეთი

რუსეთში ბევრგან შემოიღეს გლეხ-კაცებმა რკინის გუთნები. იაროსლავის გუბერნიაშიც ძრიელ გავრცელებულა. თითქმის ნახევარს გლეხ-კაცობას შემოუღია რკინის გუთანი ზოგიერთს მაზრაში. საყურადღებო უფრო ის არის, რომ გლეხ-კაცი თვითონ იძენს გუთანს, თვისს სურვილითა და თაოსნობით. ერობანი მხოლოდ ეხმარებიან მით, რომ საწყობს ჰმართავენ გუთნებისასა და სხვა სამეურნეო იარაღებისას. ამისთანავე თაოსნობას იჩენს რუსეთის გლეხ-კაცობა საქონლის საკვებ ბალახის თესვის შემოღებაში, საუკეთესო თესლის შეძენაში, მაშალის გაპატივებაში ხელოვნურად მომზადებულის სასუქით, წველა-ღოვების განკარგებაში და სხვ.

უცხოეთი

რომი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ლუბეს ვიზიტმა მეტად დაახასიათა საფრანგეთის მთავრობის გადასხვაფერება, რომის პაპის სიმტკიცე და მისი ქედმოუხრელობა. საფრანგეთის მთავრობა, დაწყობილი კარლო დიდისაგან, 774 წ. თითქმის მუდამ მფარველი იყო რომის პაპის მთავრობისა. როდესაც რომელიმე გარეშე მტერი პაპის სამთავროს დაარბევდა, შეაწუხებდა ანუ დაიპყრობ ტ, საფრანგეთის მთავრობა იყო მისი ფარი, რომელიც მტერს პასუხს აგებდა: გასდევნდა ანუ სამგიერო გადაუხდიდა. გარდა ზოგიერთის შემთხვევისა, საფრანგეთის მთავრობა მუდამ წინელობებოდა პაპის მტრებს და იგერებდა მე-VIII საუკუნედან. თვით ამ ბოლო საუკუნეშიც აღმოუჩენია ასეთი მფარველობა. რადგან 1846 წ. ვიდრე 1870-დინ იგი მუდამ ებრძოდა იტალიის რეკოლუციონერებს და გარიბალდიელებს, და ნებას არ აძლევდა იმათ, რომ დაეპყრათ. აგრეთვე უწინ ქრისტიანე სახელმწიფოთა შორის საფრანგეთის მთავრობა პირველი მოღვაწე და მფარველი იყო, იქამდე დიდი მოღვაწე, რომ ბევრს სხვა და სხვა ტომის კათოლიკეს ფრანგის სახელი დაერქვა ამ მთავრობის მფარველობის გამო. აგრეთვე თავის ერთგულობით, ყველა კათოლიკეთა მთავართა შორის, მან დაიმსახურა ყველაზე უმეტესად საპატიო სახელი „La Fille aînée de l'eglise—ეკკლესიის პირმშო“. აი ეს მთავრობა იქამდე გადასხვაფერდა, რომ ჯერ საფრანგეთიდან ყველა ბერ-მონაზონი გასდევნა, სასამართლო დარბაზებიდან ქრისტეს ჯვარცმა განაძევა და დღეს რომში მოვიდა და ამ თავის მოსლილი იტალიის თანაუგრძნო და განამტკიცა დაპატრონება პაპებისათვის ჩამორთმეული რომისა, იმ რომისა, რომლის დამოუკიდებლობისათვის საფრანგეთს ბევრ გზით დაუღვრია სისხლი. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ მთავრობასთან ერთად საფრანგეთის ერი არ გადასხვაფერებულა, მომეტებული ნაწილი ისევ ეპეშმარიტ ქრისტიანე და პაპის ერთგულია. ამიტომ პრეზიდენტის რომში მოსვლამ მეტად უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის კათოლიკეებზე.

ჯერ კიდევ ოფიციალურად არ იყო გამოცხადებული ეს ვიზიტი, რომ შორი ახლოს დაიწყეს გამოძიება—შეტყობა პაპის ეზრისა. მიიღებდა პრეზიდენტს თუ არა—(რადგან 1870 წელს აქეთ კათოლიკე ევროპელნონლებს პაპისაგან ალკრძალული აქვსთ რომში მოსვლა იტალიის მეფის სადარბაზოდ). რა სენეს მისი უკრა, ბევრს ეკადნენ არა მარტო საფრანგეთის მთავრობის მხრივ, არამედ თვით იტალიის მხრივაც, რათა პაპს პრეზიდენტი მიეღო. თუ პრეზიდენტს არ მიიღებდა, ან მისი მეუღლე და ან მისი მინისტრი დელკასე მიეღო. მაგრამ პაპმა ყველას მხნედ უპასუხა „N O!“—არა, ისე, როგორც უწინ მოციქულნი და მოწამენი თავიანთ მტარვალეს უშიშრად უპასუხებდნენ «არას» და მით უძლეველნი რჩებოდნენ მუდამ. ამავე ნაირად დღეს ორ შეერთებულ მთავრობას, რომელნიც მტარვალებივით იქცევიან და ეკკლესიის დამონავება-დაქვეყრომება უნდათ, ამათ უთაროდენ, დროულმა და მტრებით გარშემოცულ პაპმა უშიშრად უპასუხა «არა!» ამითი მან კვალად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეკკლესია თავის მოგალეობას არას დროს არ უღალატებს, იგი დამოუკიდებელია საამქვეყნიერო მთავრობისაგან, და არას დროს არ შეასრულებს მათ უკერო მოთხოვნილებას; მასთანავე მზად არის დაეთმინოს მათგან მიყენებული ყველანაირი შეურაცხყოფა და ვნება. ამას დაძლევდა კი არა, არამედ თავის დიდ გამარჯვებად სთვლის.

საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი რომში იტალიის მთავრობისათვის მეტად საესურველი იყო, რადგან იგი მით რომის დაპყრობის საქმეს გიამგრძდა და ეკონომიურადაც, ამ შემთხვევით, დიდ სარგებლობას მოუტანდა იტალიას საფრანგეთის დაახლოვება. ამის გამო იტალიის მთავრობამ მეტად დიდი მზადება გასწია, რომელიც არცერთ სხვა გვირგვინოსან სტუმრისათვის არ გაუწევია. ამიტომ ამისთანა დიდის ამბით მიიღო საფრანგეთის პრეზიდენტი, რომ მისი მსგავსი, ვგონებ, რომს კარგა ხანია არა უნახავს-რა. პრეზიდენტის ესეთი მიღება კაცს მოაგონებდა უწინდელ რომაელ კეისრების დიდ ძღვევა მოსილ დაბრუნებას რომში მთავრობამ არაფერი დაზოგა: მეტად მორთო მთელი ქალაქი; მეიდნები ბაღებად გარდაქმნა; ქალაქის აღურიცხველ ჩირაღდნებით განათებასაც არ დაკმაყოფილდა, რომის გარეშე მაღალი გორებიც განათ• პიროთხნიკურად.

პრეზიდენტი მოვიდა 24 აპრილს და გაბრუნდა 28-ს (ახ. სტ.). იტალიის მთავრობამ ამ ხუთ დღეში პრეზიდენტი მეტად გაართო სხვა და სხვა შეეცქინო. როცა მეფემ ლუბე თავის ეტლით დაატარა რომი და გაიარა წმიდა პეტრეს ეკკლესიისაკენ, აქ პრეზიდენტმა შეაჩერებინა ცხენები და დაუწყო შორიდგან ყურება ეკკლესიას და პაპის სასახლეს. ესრედ შორიდან ყურებით გული მოიოჯრა, რადგან ტაძრის და ვატიკანის შიდა მორთულობის ნახვა არ შეეძლო.

საფრანგეთის პრეზიდენტის მისვლა რომში არც გერმანიას ესიამოვნა. აქამდინ მეტად მეგობრული ურთიერთობა იყო იტალიისა და გერმანიის ერთა შორის; ახლა კი სულ სხვა აზრს დაადგნენ გერმანიის გაზეთები და თავიანთი უსიამოვნება ამ ვიზიტის შესახებ საქვეყნოდ გამოაცხადეს. გერმანიის იმპერატორმა, ვითომც უქეიფობის მიზეზით, დაიწყო ზღვით მოგზაურობა, აგერ ორი-სამი კვირაა, და იტალიის ზღვის პირას ყველა ქალაქები დაიარა. ამ ნაირად იტალიის ძალა და სიმაგრე ზღვაში ყველა კარგად დაათვალიერა. მის ამნაირ მოგზაურობას იტალიელებმა არაავითარი მნიშვნელობა არ მისცეს. ხოლო ჩვენ უმნიშვნელოდ არ მიგვიჩნია ესა. იმ პოლიტიკურ ცვლილების გამო, რომელიც ეხლა მოხდა საფრანგეთსა და იტალიას შორის, ვინ იცის, გერმანიის იმპერატორს რა აზრი აქვს და რას აპირებს. ამას მომავალი დაგვანახვებს.

X.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბანჯა. დიდი ხანია არ გვიგრძენია ისეთი სიამოვნება, როგორც ვიგრძენით ქართველ საყმაწვილო საღამოზედ, რომელიც გაჰმართეს ამ ზამთარს ქ. ბანჯაში ბ.ბ. ზედგინიძეს და ხარაძეს. თუ სადმე ქართველ საყმაწვილო საღამოს რაიმე მნიშვნელობა აქვს, ასეთ საღამოს ისეთ ადგილებში, როგორიც ბანჯაა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევაც, როგორც თვით ბავშვებისათვის, ისე იმათ დედ-მამათათვის.

სხვა-და-სხვა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა და გარემოებათა გამო, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი და ბევრი სხვის ბავშვებიც, მოშორებულნი და მოწყვეტილნი ვართ სამშობლო ქვეყანას, რომელიც «არ გიიკვლებს სხვა ქვეყნის სამოხეზედ». თუ გადაგვარების ნიშნები და მაგალითები ბევრია თვით შუაგულ ჩვენ სამშობლოში, „სადაც სამშობლო ნიადაგი“ უნდა უწყობდეს ხელს ქართველის ქართველად დარჩენას, რა უნდა ვსთქვათ ისეთ ადგილებზედ. როგორიც, მაგალითად, ბანჯაა, სადაც ამგვარი გადაგვარებისათვის უფრო კარგი გარემოებაა. ბანჯაში ძალინ ბევრი მოზარდი ახალგაზრდობაა, უმეტესი ნაწილი სწავლობს აქაურ სასწავლებლებში. თუ არ თავის ამხანაგების წრეში, იმი ი ზეიათად ესმი და დედა-ენა; საშუალება და გარემოება ხელს არ უწყობს იკითხონ ჩვენი ტურნალ-გაზეთობა და თვალ-ყური ადევნონ ჩვენს მრავალ სტანჯულ საზოგადო საქმეებს მიმდინარეობას, ჩვენს საზოგადო ჭირ-ვარამს, ჩვენნი ერის მდგომარეობას. ტურნალ-გაზეთებს მოკლებული მოზარდ თაობას თუ სულ არა, ძალიან ნაკლებად ესმის სჯა ამ საქმეებისა და ჭირ-ვარამზედ თავიანთ ნაკნობთა და ამხანაგთაგანაც. ყოველივე ეს არა-სასურველი ტდგომარეობაში აყენებს უმეტეს ნაწილს იმ მოზარდ თაობისას, რომელსაც არა ჰყავს გონიერი ხელ-მძღვანელი და გზის მაჩვენებელი.

ამათთვის ზრუნვა, მათ კეთილისა და სწორის გზით ტარება უნდა იყოს აქაურ ქართველების ერთ-ერთ ზნეობრივ მოვალეობათაგანი, რათა ცხოვრებაში გამოუცდელი ახალთაობა ასკილდეს ყოველსავე იმისა, რაც მისის სახელის გამტეხი იქნება. საშუალება ბევრნაირი შეიძლება დაასახელოს კაცმა. სხვათა შორის ერთ-ერთი საუკეთესო დამაკავშირებელი და თვითცნობიერების აღმძერელი საშუალებად უნდა ჩაითვლოს საყმაწვილო საღამოებს ანუ დილების დრო-გამოშვებითი მართვა. აქ არ გამოვუდგებით ისეთ საღამოების მნიშვნელობის გამორკვევას; ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ საზოგადოდ ესეთ საღამოებს აქვს რაიმე მნიშვნელობა,—ქართველ ბავშვებისათვის, რომელნიც სამშობლო მხარეს მოწყვეტილნი არიან, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვინაიდგან ეს საღამოები უნერგავენ ბავშვებს სიყვარულს სამშობლოს ლიტერატურისადმი, უნერგავენ გულში ბავშვებს საუკეთესო კეთილშობილურ გრძნობებს სამშობლო ისტორიისა და ენისადმი და სხვ.

აი ამისათვის ძალიან მადლობელნი უნდა ვიყენენ ბბ. ზედგინიძისა და ხარაძისა, რომ თავიეს ეს ფრიად სასარგებლო საქმე და საუკხოოდ დაადგიენ გვინეს.

«ვისაც სახლი არ აუშენებია, ისა კედლები მიწიდგან ამოსული ჰგონიაო», ნათქვამია. იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ესეთ საქმეს ბევრი დაბრკოლება, შეწუხება და უსიამოვნება თან ხლდეს ხოლმე, თუ არ მივიღებთ მ‍ედელობაში იმ დიდ ზრუნას, რომელიც ყველაზედ უფრო საგრძნობელია სამსახურის კაცისათვის, მეტადრე მასწავლებლისათვის. ზემოხსენებულთაც ბევრნაირ დაბრკოლების დაძლევა შეხვდათ, მაგრამ მაინა ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. მათის შრომის დაფასება იყო ის გულწრფელი მადლობა, რომელიც შესწირა დამსწრე საზოგადოებამ, და აღტაცებული სიხარული, ძალდაუტანებელი და გულწრფელი ბავშვების სიცილი, რომლითაც იცინის მხოლოდ ბავშვი. საღამოს გამგეთ არ დაუტოვებიათ «ულოლოდ» არც ერთი პატარა ბავშვი, ყველა იღებდა მონაწილეობას, ყველა გრძნობდა იმ საღამოს თავის თავს მომჭმედად, რასაც, ჩვენის აზრით, დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ბ.ბ. ზედგინიძემ და ხარაძემ, როგორც გამოცდილმა პედაგოგებმა ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცეს და ყველა პატარას შესაფერი საათქმელი მასალა დაუნიშნეს.

ამ საღამოს პროგრამა შესდგებოდა სამის განყოფილებისაგან. ჯერ წარმოადგინეს შარშანდელ „ჯეკილი“ მოთავსებული პიესა „პირველი აპრილი“, შემდეგ მეორე და მესამე განყოფილებაში სთქვეს ქართული ლექსები და სიმღერები. სიმღერები შესწავლა ბავშვებს აქაურმავე მოსწავლემ ბ. კ-მა. შესახებ «პირველი აპრილისა» უნდა ვსთქვათ, რომ ბავშვებისაგან მეტის შეგნებით შესწავლა და თამაში როლებისა შეუძლებელია, ისე მწყობრად და შეგნებით ასრულებდნენ როლებს. ზოგიერთების უტყუარი ნიჭი ეტყობათ. მეორე და მესამე განყოფილებაც კარგად იყო შესრულებული. ზოგიერთი ლექსები, მაგ. «დედა-ენა» სე. გუგუნავასი, განმეორებით ათქმევინეს.

ბავშვებს ამ «საღამოს» სახსოვრად გამგეებმა, წლოვანობისა და განვითარების მიხედვით, შესაფერი ქართული წიგნაკები დაურიგეს აქაური საზოგადოების სახელით, რითაც ძალიან ასიამოვნეს ისეც ნასიამოვნები ბავშვნი, რომელნიც აღტაცებულნი დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ვესურვებთ ბბ. გამგეთ მხნეობას და ენერგიას, განაგრძონ ეს კეთილი და სასარგებლო საქმე. მაგრამ ამასთანავე საჭიროა, რომ ორსა და სამს არ დავაკოსროთ ეს მძიმე საქმე და ყველამ მივიღოთ ხოლმე მონაწილეობა მათ მართვაში. მაშინ უფრო მალე მიაღწევს ეს საქმე საწადელს. ეამბობთ ამას იმიტომ, რომ ერთი კაცი ეამბობა: ეს პირველი საყმაწვილო საღამო არ არის განჯაში ამ 7—8 წლ. წინად ესეთ საღამოებსა ჰმართავდა აქ პატივცემული ვერა მიქაბერიძისა, მაგრამ იმის აქედგან წასვლის შემდეგ აღარა ყოფილა ასეთი საღამო, რაკი იგი კერძო, ერთის ინიციატივა იყო.

ვ.

---

*) იხ. „ივერია“, № 99.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ Ძ. Შ. Ყ. Ჯ. Შ. ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ.

1) №-საგან ერთი წყვ. აბრეშუმის ხელთათმანი.
2) წ-საგან ყალათი სადარბაზო ბარათებისა.
3) ხარაზოვმა მოსცმ 1 ც. ყმაწვ. ქოლგა
4) მუშილოვმა ხელსახოცები და ჩულქი.
5) ბერიძემ კორსეტი და ყელსახვევები.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა საგენტ-საგან).

27 აპრილი.

ᲑᲚᲐᲒᲝᲒᲔᲨᲩᲔᲜᲡᲙᲘ. მოვიდა ხაბაროვსკიდამ პირველი გემი. ელიან პირველ საფოსტო გემის მოსვლას ქვედამ.

ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲘ. წარსულ კვირას აქ მძვინვარებდა ტაიფუნი. 15 მკვიდრი მოკლა. გაიფუტა ნათესლობა და დაჰხოცა საქონელი. 3 მილიონ ფრანკამდე აღრიცხავენ ზარალს.

ᲗᲝᲙᲘᲝ. («რეიტ. საგენ.») მიღებულ იქმნა ოფიციალური მოხსენება იაპონელთა ზარალისა 18 აპრილის ბრძოლაში იალუზედ: გვარდიაში მოიკლა ერთი ოფიცერი და 20 დაბალი ჯარის კაცი, დაიჭრა 7 ოფიცერი და 122 ჯარის-კაცი; მეორე დივიზიაში: მოიკლა ერთი ოფიცერი და 84 ჯარის-კაცი, დაიჭრა 30 ოფიცერი და 805 ჯარი-კაცი; მე-12 დივიზიაში მოიკლა 3 ოფიცერი და 76 ჯარის კაცი, ხოლო დაიჭრა 5 ოფიცერი და 263 ჯარის კაცი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. მოსკოვის ერობამ გაჰგზავნა შორეულ აღმოსავლეთს 25,000 მან. ცხენებისა და ურმების სასყიდლად სანიტართა რაზმისათვის.

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ. 26 აპრილს განთიადისას დაიწყო არა სრული მობილიზაცია ხარკოვსა და ხარკოვის მაზრაში. მოწოდებულნი იკრიბებოდნენ ნაწილ-ნაწილ და მერე ჯგუფ-ჯგუფად იყრიდნენ თავს დანიშნულ ადგილას. სამხედრო-საცხენო კომისიამ დაამთავრა ჩაბარება ქალაქში მოკრებილ ცხენებისა.

ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲐᲕᲚᲔᲜᲘᲙᲘ. გაიარა ვიცე-ადმირალმა სკრიდლოვმა.

ᲙᲐᲛᲩᲐᲢᲙᲐ. მაზრის ყველა მართლმადიდებელ ეკლესიაში დაიწყეს შეკრება ყოფლობითის შეწირულებისა სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად და წითელ ჯვრის სასარგებლოდ.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის მთავრობას არა სწამს შიში რუსეთისა, რომ ვითომ ჩინეთი დაარღვევს ნეიტრალიტეტს. გარეშე საქმეთა უწყების უფროსმა წარუდგინა ამას წინად ამერიკის ელჩს პეკინში ისეთი საბუთები, რომელმაც დაამშვიდა ელჩი. ამავე საბუთებმა განამტკიცა ნდობა სახელმწიფო დეპარტამენტისა ჩინეთის ყოფა-ქცევისა და მოსალოდნელ მოქმედების მიმართ.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. იაპონიის ახალის სესხის ამმავი თანაგრძნობით იქმნა მიღებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ უმაღლესი ბრძანება: „მიეჩინაეთ რა საპიროდ სამხედრო ფეხზედ დაეყენოთ კიევისა და მოსკოვის სამხედრო ოლქების ის ჯარის ნაწილნი, რომელნიც დანიშნულ არიან გასაძლიერებლად ჩვენის სამხედრო ძალისა შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე გავაძლიეროთ რაოდენობა რკინის გზის ბატალიონებისა და ყაზანის და ციმბირის სამხედრო ოლქების სათადარიგო ჯარების, ჩვენ გამოვეცით ბრძანება, რომელიც დღეიდან მოეცა სამხედრო მინისტრს, რომ მოიზდეს საპირო განკარგულებანი. ამასთანავე ვბრძანებთ: 1, მოწვეულ იქმნან სამსახურში საპირო რაოდენობა დაბალ ჯარის-კაცთა სათადარიგო არმიისა კიევის და მოსკოვის სამხედრო ოლქებში. 2, გამოწვეულ იქმნან სამსახურში ყველა ის იმჭერიაში მცხოვრებნი სათადარიგო არმის ოფიცერნი, რომელნიც, თანხმად აწ არსებულის გაწესრიგებისა, დანიშნულნი არიან შესაკრებლად სამთარ ფეხზე დასაყენებელ ჯარებისა, და 3, აჟას გარდა ზემოდ დასახელებულმა ოლქებმა უნდა გამოიყვანოს საკმარ რიცხვი ცხენებისა. უმართებულესმა სენატმა მოახდინოს ამის აღსასრულებლად საპირო განკარგულება. ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით წარწერილ არს: «ნიკოლოზ». ცარსკო სელოში, 20 აპრილს 1904 წელსა».

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. 26 აპრილს შორეულ-აღმოსავლეთიდგან ოფიციალური ცნობანი არ მოსულა. - «მართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია რუსეთის კორეველი ელჩის პავლოვის დაწვრილებითი მოხსენება შანხაიდან 16 თებერვლის. უმაღლესად ნაბძანებია: მანჯურიის მთავარსასახლის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი გუბერტი დაინიშნ მანჯურიის ჯარის ინტენდანტად; კოვენის გუბერნატორი დეისტვიტელნი სტატსკი სავეტნიკი ვატაცი—ხარკოვის გუბერნატორად; გროდნოს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღვარი კოლეგსკი სოვეტნიკი ვერეკეინი კოვნოს გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.—ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ბაირაღები მესამე და მეოთხე აღმოსავლეთ ციმბირის საპორნოს ბატალიონებსა.—25 აპრილს გარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი ტაინი სოვეტნიკი ედუარდ დიმიტრისძე პლესკე.

ᲛᲣᲓᲔᲜᲘ. 26 აპრილი (საკ. კორ.). როგორც ამბავი მოვიდა, იაპონელებმა ფინ ხუან-ჩენი დაიპირეს; იმათი მზეკრავი რაზმები ლიონის მხარეს გამოჩნდნენ. იაპონის ქვეითა და ცხენოსანთა მცირე რაზმმა დაიპირა კეთნდიანსიანი სადგური ვეფანდიანი ჩვენს ჯარებს აქვთ დაჭერილი.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. ბიულოვმა უპასუხა ბებელსა და სთქვა შემდეგი: «მართალია, იმპერატორმა დეპეშა მისწერა და შეუთვალა რუსეთის იმპერატორს, ღრმად ვსწუხვარ იმ დიდის უბედურების გამო, როგორიც იყო დალუპვა «პეტრეპავლოვსკისა», რომელიც იმდენი მამაცი ხალხი დაიღუპა ტყმსა თვისის მოვალეობის აღსრულებისასა დარწმუნებული ვარ, რომ ამ გრძნობას ადამიანური მოწყალებისას იზიარებს არა მარტო უმრავლესობა ერისა. მწუხარებას ვაცხადებ მხოლოდ, რომ ჩვენს ეკონომიურ გაზეთობის ერთმა ნაწილმა, მეტადრე იუმორისტულმა ტურნალებმა ჩვენთან მეგობრად მყოფს, მეზობელ ქვეყნის უბედურება გაიხადოს საგნად მტრულის, დამცინავის წერილებსა და სალანძღავ-საგინებელი კარიკატურები დაჰხატეს. ასეთი საქციელი ეწინააღმდეგება არა მარტო კაცთ-მოყვარეობის გრძნობას, არამედ პოლიტიკურ ზრდილობისა და ტაქტსაც. გარნა თუ ბებელს ჩვენის იმპერატორის მიერ გამოთქმული გრძნობანი «პეტრეპავლოვსკის» დაღუპვის გამო ნეიტრალიტეტის დარღვევად მიაჩნია, რაღა პასუხს გვაძლევს ჩვენს მეზობლის რუსთა-ზემოხსენებულ ლანძღვა-გინებისათვის, ასეთ უკადრის ბალაშერებისათვის რუსეთის საწინააღმდეგოდ, ასეთ უბოდიშო გამოცხადებისათვის ყოველ-გვარ ისტორიულ შედარებათა ზედ-დათვით, რომ მე მსურს დამარცხება რუსეთისაო. აი ამასა ჰქვიან დარღვევა მტკიცე და კანონიერ ნეიტრალიტეტისა, რომელსაც ჩვენ ვიცავთ ორსავე მებრძოლთა მიმართ შორეულ-აღმოსავლეთად. აი ამასა ჰქვიან დარღვევა ნეიტრალიტეტისა და მაგისთანა საქმეშიც მე, როგორც პასუხის მგებელი მინისტრი, არ შემიძლიან მონაწილეობა მიეღო.

ᲒᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ დილის დეპეშისა: იაპონიის ახალ სესხს თანაგრძნობით არ მიეგებნენ ნიუ-იორკში.

ᲛᲣᲓᲔᲜᲘ, 27 აპრილს დილის 7 საათზედ (საკუთ. კორ.,სპ.-საგან). რკინიგზით მისცა მოსცა პორტ-არტურთან კვლავ აღდგენილ იქმნა 26 აპრილს საღამოზედ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. („რეიტ. საგ.“) «რეიტერის საგენტო» კორესპონდენტი, რომელიც იაპონის ლაშქარის თან დასდევს, ასე ასწერს იალუს ბრძოლას. როცა დილის ნისლი მდინარისა გაიფანტა, გამოჩნდა იაპონის ქვეითა ჯარი. იჯუს პირდაპირ, კუნძულიდან დაიწყო ომი ორმა ბატარეამ. ისროდნენ ზარბაზნებს იმ სერებისაკენ, რომელიც მანჯურიის ხმრეზე იყო შეფენილი. მზე რომ ამოვიდა, ზარბაზნები მდინარის ნაპირს დაუშინეს, მაგრამ რუსებმა პასუხი არ გასცეს. ეტყობოდა, რომ იმ დამას თავიანთი ზარბაზნები უკან დაეწიათ. იქ საცა რუსთა მხედრობა უნდა ყოფილიყო, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მალე იაპონელნი გაიშალნენ მტრის წინაშე და მიეტევნენ. დაიწყეს რუსებმა ერობაში სროლა თოფებისა. იაპონელთ ბატარეებმა პასუხი მისცეს და შრაპნელებს დაუწყეს სროლა სერებისაკენ. იაპონელთა ყუმბარები პირდაპირ მიზანში მდიოდა და იქ სკდებოდა. რუსთა ზარბაზნები სდუმდა. როცა იაპონელთა მოწინავე ჯარის კაცნი რამდენისამე მეტრის მანძილზედ გასცდნენ მდინარის ნაპირს, უცაბედ გავარდა რუსთა თოფები სანგრებს იქიდან. ახლო მისულნი იაპონელნი იძულებულნი იყვნენ უკან დაეწიათ და თავი შეეფარებინათ ბორკეტებისათვის. თვითონ აქედან ისროდნენ თოფებს, ხოლო მათის ზარბაზნების ყუმბარები თავს ეევლებოდა და ისე მიდიოდა ტრის ბანაკში. იაპონელი ოფიცერები ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით მიეძღოდა წინ ჯარსა. რამდენიმე სანიტარი მოვიდა ქსენოში და გამოაცხადა, რომ უკვე დაჭრილნი არიანო. რუსთა უკვამლო თოფის-წამალი მშვენერია. ძნელი იყო მიხვედრა, სად იდგა იმათი ბატარეები. მალე რუსთა სროლა თოფ-ზარბაზნისა შესწყდა, რადგან ძლიერი იყო მოკმედება იაპონელთა ქვეითის ჯარისა და ზარბაზნებისა. სჩანდა, როგორ მიდიოდა რუსთა ჯარი მთამთა. როგორც სჩანს, იაპონელებს ზარალი დიდია. ისე მიცოცავდნენ ცოცაბი კლდეებზე, თითქო ჭიანჭველები არიანო ოკრიშის მიმტანნი იაპონელნი ავიდნენ იმ მთაზედ, საიდანაც რუსნი უკან იწევდნენ და სწორედ იქ დროს, როდესაც წვერზედ მოეძღვნენ ჯგუფად, გასდა ორი ყუმბარა მათისავე ზარბაზნების გამოსროლილი, 12-მდე გვამი გაერიხა მიწაზედ, დანარჩენნი უცბად ჩამოვიდნენ მთიდან ძირს, ერთი ჯარის-კაცი აცოცებულიყო კლდეზედ ყველაზედ წინ და ალბერიალი უშველებელი ბაირაღი იაპონელებისა რუსთა პოზიციის უმაღლეს ადგილას. იაპონელნი, რომელნიც იჯუდან ადევნებდნენ თვალ-ყურს ომს, ღუმელს არღვევდნენ «ბანზაის» (ვაშა) ძახილით. ქვეითი ჯარი. არტილერია და ბარგის ურმები უეცრად გაეძანენ კუნძულისკენ.

დრეკტორი **ᲗᲐ. ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲜᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ:

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ

22 აპრილი 1904 წ.

ᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ 3 თვით:

ლონდონში 10 კირ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიზში 100 ფრანკში	–
ლონდონში ჩეკები	94,60
ბერლინში „	46,30
პარიზში „	37,17½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	—
4% სახ. სესხი 1902 წ.	91 წვ. გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მაბეულო ბანკისა	—
5% პირ. შინაგ. მოკ.-ბილ. 1864 წ.	370 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოქვეს. ბილ. 1866 წ.	300 წვრ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	271 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მ.ბ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნების ფურც. იმავე ბანკისა	88⅝ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87½ წვ. გაყ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—1).



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ

ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲗ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ

ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲔᲑᲘ

ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ.

Акц. О-во ЭНФИЛЬДъ
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА №9.

СПБ. Морская, № 30.

(10—5—2).

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

„ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტკირი, გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1847 ᲬᲔᲚᲡ

ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲐᲓᲐ ᲗᲐᲜᲮᲐ	**1,650,000 მან.**
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲜᲮᲐ	**2,664,808 მან.**

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნა როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ეცხლისაგან ეოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ეოველგვარ ხიფთისაგან გზაში ნავთა ანა თუ ამ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ეკეთ ეოსტერნისა.

დ) დაზღვევა კანისა, რომელიც კადასტანა ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ ანსოფლთ სოფოსტო კავშირის ეველა ადგილს.

დაზღვევის კისრულობს როგორც კომეანია ისე კომპანიის საკენტონი ეველგან-საერნსპორტო საკენტოს კარდა, ეცეხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი კანსკეუოოკანი ეცეხლისაგან დაზღვევის საკენტოში.

კომეანია ს. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ კომპანიის **ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ**-ი ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ, ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲡᲖᲔ, სახლის № 10

სანდო კიდი და რწმუნებულნი: სახლოვო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში

ტფილისის საგენტო ქარეეულთა ოვად-აზნაურობის სახლეთა, ბანოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—30)

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

„ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ“-Ს

ვფილისის საგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ საგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამამდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

11 ᲐᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

მანთაშოვის ახალ ქარგასლაში, სომხის ბაზარში,

შესასვლელი ეეზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიდება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. საგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—3)

ᲨᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲝᲥᲠᲝ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲚᲘᲐᲜᲢᲘ

ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲫᲚᲘᲚᲘᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წუყილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძოდ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოქვილი გარშემო პარიკის ბრილიანტებით, რომელიც („შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით აარის გაკეთებული და ბაჯალლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯიავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გისწევეს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეფარება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ,

ᲘᲐᲤᲘ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 4 ᲛᲐᲜ. 45 ᲙᲐᲞ. ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ᲑᲠᲔᲚᲝᲚᲘᲡ, ᲙᲝᲛᲞᲐᲡᲘᲡ ᲐᲜ ᲑᲘᲜᲝᲙᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲕᲔᲜᲖᲔᲚᲘᲡ, 4) ᲡᲐᲤᲔᲠ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ, რომელშიაც არის ლიონისს ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიკრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) ᲛᲔᲨᲘᲜ ᲙᲝᲢᲝᲜᲔᲚᲘᲡᲐᲡ სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ᲢᲣᲐᲕᲘᲡ, ᲞᲝᲠᲢᲛᲝᲜᲔᲡ ᲥᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ეიაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

ᲕᲘᲜᲪ ᲝᲥᲠᲘᲡᲘ ᲑᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 8 ᲛᲐᲜ. 90 ᲙᲐᲞ.

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 22/229

ახლის რუსეთში ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ გაგზავნისათვის საპირო ბეს გამოგზავნა („შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ.

(3—5—2)

ᲛᲡᲬᲠᲐᲤᲚ ᲛᲒᲔᲭᲓᲐᲕᲘ

— ᲡᲢᲐᲛᲑᲐ —

ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲘᲕ. ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡ,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ეველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ეველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საეაბიკეო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა ფორმები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების ფორმები.

ფასი ეველასთვის ხელმისაწვდომია.

Дозволено цензурою Тифлисъ 27 апрѣля 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи